პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

№ 58 (968) | კვირა, 15 ივლისი, 1956 წ. | გამოცემის მე-12 წელი | ფასი 30 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

11 ივლისს მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია. სესიამ ერთხმად დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი

1. პროექტი კანონისა სახელმწიფო პენსიების შესახებ.

2. კარელია-ფინეთის სსრ უმაღლეს საბჭოს თხოვნა კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კარელიის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გარდაქმნისა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში მისი შეყვანის შესახებ.

3. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მიმართვა სხვა ქვეყნების პარლამენტებისადმი განიარაღების საკითხზე.

4. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს განცხადება ატომგულის იარაღის აკრძალვისა და მისი გამოცდის შეწყვეტის შესახებ, იაპონიის პარლამენტის მიმართვასთან დაკავშირებით.

5. სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე სახელმწიფო პენსიების კანონის პროექტის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ნ. ა. ბულგანინი. მოხსენება დეპუტატებმა და დამსწრე სტუმრებმა დიდი ყურადღებით მოისმინეს.

სესიაზე ამხ. ნ. ა. ბულგანინის მოხსენების გარშემო ცხოველი კამათი გაიმართა. დასასრულ საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ა. ბულგანინმა.

სახელმწიფო პენსიების პროექტის განხილვა, — ამბობს იგი, — და საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიების თანამოხსენებანი მეტად სასარგებლოა, წინადადებები და შესწორებები მნიშვნელოვნად გააუმჯობესებენ კანონს.

ჩვენი სახელმწიფო, — განაგრძო მან, — ისე კარგად მიდის წინ, რომ მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ის გარემოება, რომ დღეს ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ კანონი, რომელიც დამატებით მოითხოვს ჩვენგან 13 მილიარდ მანეთს, ცხადყოფს ჩვენი სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, რომ მას უდიდესი რესურსები მოეპოვება. ეს კანონი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტია, ჩვენი მთავრობა აკეთებენ, ასრულებენ ყოველივე იმას, რაც ჩვენ გვითხრა პარტიის XX ყრილობამ. მთელ თავიანთ საქმიანობას პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა უქვემდებარებენ ხალხის ინტერესებს, ხალხის კეთილდღეობის განუწყვეტლივ გაუმჯობესებასა და ზრდას, კანონი სავსებით ასახავს საბჭოთა ადამიანების ინტერესებს და შეესაბამება მათ სურვილებს.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს მეხუთე სესია განაგრძობს მუშაობას.

ჭაბუკთა შეჯიბრება

ლენინგრადი. (ტელეგრაფით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან). ლენინგრადში დაიწყო ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების საკავშირო შეჯიბრება. გათამაშება დიდ ინტერესს იწვევს, ყოველ მატჩს ესწრება მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

12 ივლისს შედგა ტურნირის პირველი ტური. ლენინგრადის საფეხბურთო სკოლისა და „შრომითი რეზერვების" ცენტრალური სკოლის (ლენინგრადი) მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

მეტად საინტერესო იყო კიევისა და მოსკოვის გუნდების შეხვედრა. ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს კიეველებმა.

თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელები შეხვდნენ მინსკის ძლიერ გუნდს და დაამარცხეს იგი ანგარიშით 2:1.



რსფსრ-ს სპარტაკიადის გახსნისადმი მიძღვნილი პარადი მოსკოვში, „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე.

სპარტაკიადას მოემსახურება 1.300 მსაჯი

რომ გავითვალისწინოთ თუ რა დიდი მასშტაბის ღონისძიებაა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა, საკმარისია მოვიყვანოთ რამდენიმე ციფრი: მძლეოსნობაში მონაწილეობას მიიღებს 1.500 სპორტსმენი; ჩოგბურთში შეჯიბრების ჩატარებისათვის საჭირო იქნება სულ ცოტა 27 კორტი; მოკრივეთა შეჯიბრებაზე, რომელიც 4 რინგზე გაიმართება, მოეწყობა 400-ზე მეტი შეხვედრა; შეჯიბრებას ყოველდღიურად შეიძლება დაესწროს 250 ათასამდე მაყურებელი. სპარტაკიადას მოემსახურება 1.300 მსაჯი, მათ შორის 400 საკავშირო კატეგორიისა.

სპარტაკიადის ჩატარების ცენტრი იქნება მოსკოვის ლუჟნიკის ცენტრალური სტადიონი. „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე მოეწყობა ფეხბურთელთა, ფრენბურთელთა და მოკრივეთა შეხვედრები. ახლად რეკონსტრუირებულ „ნორჩი დინამოელის" სპორტულ ბაზაზე ერთმანეთს შეეჯიბრებიან ტანმოვარჯიშეები და ველოსიპედისტები. შეხვედრები ჭიდაობაში ჩატარდება მოსკოვის უნივერსიტეტის ახალ დიდ სპორტულ მანეჟზე, ძალოსნები ერთმანეთს შეხვდებიან უნივერსიტეტის სამდარბაზიან სპორტულ კორპუსში, მოფარიკავეები პირველობისათვის იბრძოლებენ „კრილია სოვეტოვის" ფიზკულტურის სასახლის დარბაზებში. აქ მოეწყობა 12 საფარიკაო ბილიკი. ფეხბურთელთა მატჩები გაიმართება „კრილია სოვეტოვის" ახალ შესანიშნავ სტადიონზე, აგრეთვე „შახტიორისა" და სხვა საფეხბურთო მინდვრებზე.

ცვლილებებია შეტანილი შეჯიბრებათა ჩატარების წესებში. მაგალითად, თუ აქამდე მოჭიდავეები 5 საჯარიმო ქულის მიღების შემდეგ გამოითიშებოდნენ შეჯიბრებიდან, ხალხთა სპარტაკიადაზე ასე არ იქნება. სპორტსმენები განაგრძობენ შეჯიბრებას, რათა გამოვლინდეს გუნდური და პირადი პირველობის ყველა ადგილი. დამატებითი შეხვედრებია დანიშნული ფეხბურთელთა გუნდებისათვის, რომლებიც დამარცხდებიან პირველ და შემდგომ ტურებში. შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და წყალბურთში ჩატარდება წრიული სისტემით ორ ეტაპად.

დიდებული სანახავი იქნება ტანვარჯიშული დღესასწაული, რომელიც მიეძღვნება სპარტაკიადის გახსნას. მოკლე მიტინგისა და სპარტაკიადის ალმის აღმართვის შემდეგ მოეწყობა მოძმე რესპუბლიკების სპორტულ დელეგაციათა მარშ-პარადი. შემდეგ ჩატარდება დედაქალაქის მოსწავლეთა, „შრომითი რეზერვების", პროფკავშირებისა და ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლა. მძლეოსნობაში პირველი დღის ცენტრალური ნომერი იქნება შეჯიბრება 10 კილომეტრზე რბენაში, რომელშიც სხვებთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სახელგანთქმული მორბენალი ვ. კუცი. ფეხბურთის მინდორზე ერთმანეთს შეხვდებიან რსფსრ-ს და უზბეკეთის ნაკრები გუნდები.

მომავალი წლის აგვისტოში, მოსკოვში განზრახულია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მორიგი ფესტივალის ჩატარება. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა რწმენისა და ეროვნების ადამიანთა ზეიმი უკვე კარგა ხანია, რაც მშვიდობისმოყვარე ხალხების ბრწყინვალე ტრადიციად იქცა. ასობით ახალგაზრდა ქალ-ვაჟი მსოფლიოს ხუთივე მატერიკიდან თავს მოიყრიან მოსკოვში, რათა ერთმანეთს გააცნონ უკანასკნელი ხნის წარმატებები ხელოვნებაში, ლიტერატურაში, სპორტში.

მხატვარმა გ. იაშვილმა შეადგინა საქართველოს ფესტივალის სპორტულ ნაწილში გამარჯვებულთა დასაჯილდოებელი ჟეტონების ესკიზები. რედაქციამ მიზანშეწონილად ცნო ამ ესკიზების დაბეჭდვა იმ მიზნით, რომ მკითხველებმა მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები ამ ჟეტონების გარშემო.











პირველი შეხვედრა მოგებულია

11 ივლისს მოსკოვის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა ოლიმპიური შერჩევითი მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ სსრ კავშირისა და ისრაელის ნაკრები გუნდები.

სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საბჭოთა კავშირის ფეხბურთის სექციის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვ. გრანატკინმა. საპასუხო სიტყვით გამოვიდა ისრაელის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ბ-ნი ი. ლამი.

საერთაშორისო მსაჯის ბ. გრიფიტსის (დიდი ბრიტანეთი) ნიშანზე თამაში დაიწყო. ჯერ წუთიც არ იყო გასული, როცა ტატუშინმა კარის სიახლოვეს მიიღო ილინის ზუსტი გადაცემა და თავით გახსნა ანგარიში. საბჭოთა ფეხბურთელები ხშირად უტევდნენ მოწინააღმდეგეს, რომლის კართან მრავლად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. თამაშის მაღალი კლასი აჩვენა სტუმრების მეკარემ ი. ხოდამ, რომელსაც განუწყვეტლივ უხდებოდა თამაშში მონაწილეობის მიღება. მალე ივანოვმა ლამაზი დარტყმით მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის ბოლო წუთის დასასრულს სიმონიანმა ანგარიში სამამდე გაზარდა.

ასეთივე უპირატესობა ჰქონდათ საბჭოთა ფეხბურთელებს მეორე ტაიმში. სტუმრები იძულებული იყვნენ მთელი ძალებით ემოქმედათ დაცვაში, რათა უვნებელეყოთ მოწინააღმდეგის იერიშები. კვლავ შესანიშნავად თამაშობდა ხოდა. საბჭოთა გუნდის მრავალრიცხოვანი იერიშებიდან ორი შედეგიანად დამთავრდა (ივანოვი, სიმონიანი). ამრიგად, პირველი ოლიმპიური მატჩი საბჭოთა კავშირისა და ისრაელის გუნდებს შორის დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით — 5:0.

ამ გუნდების მეორე შეხვედრა გაიმართება თელ-ავივში 31 ივლისს.

ლიდერობს ე. კაკაბაძე

კალუგა. (ჩვენი სპეც. კორ.). აქ მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ქალთა XVIII საჭადრაკო ჩემპიონატის ნახევარფინალური შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობენ საბჭოთა კავშირის ყოფილი ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ვოლპერტი (ლენინგრადი), უკრაინის ჩემპიონი ვიტკოვსკაია (კიევი), ოსტატი ვოიცეხი (მოსკოვი), ნახიმოვსკაია (რიგა), რუსაკევიჩი (სტალინო), ივაშინა (კუიბიშევი) და სხვები.

წარმატებით დაიწყო ტურნირი საქართველოს გასული წლის ჩემპიონმა ელისო კაკაბაძემ. პირველ სამ ტურში ცხარე ბრძოლების შედეგად მან დაამარცხა ესტერკინა, მიხაილოვა და ბერგერი. იგი სამი ქულით ლიდერობს ნახევარფინალში.

ამ შეჯიბრებიდან საკავშირო პირველობის ფინალში მონაწილეობის უფლებას მოიპოვებენ I-IV ადგილზე გასული მოჭადრაკეები.

უჩვეულო საჭადრაკო მატჩი

ამას წინათ საბჭოთა მოჭადრაკეების გამარჯვებით დამთავრდა უჩვეულო საერთაშორისო საჭადრაკო მატჩი, რომელიც ანტარქტიდაში მოეწყო.

მაისის დამდეგს ანტარქტიდაზე დაბა „მირნის" რადიოკვანძმა მიიღო საფრანგეთის სამხრეთ პოლარული სადგურის დეპეშა, რომელშიც ფრანგი კოლეგები ულოცავდნენ რა საბჭოთა მოზამთრეებს პირველი მაისის დღესასწაულს, რადიოთი საჭადრაკო მატჩში შეხვედრის სურვილს გამოთქვამდნენ.

საბჭოთა მოზამთრეებმა, რომელთა შორის ბევრია ჭადრაკის მოყვარული, სიხარულით მიიღეს ფრანგების წინადადება. მატჩი შედგა ორი პარტიიდან. საბჭოთა ექსპედიციის სპორტული ღირსების დაცვა მოზამთრეებმა მიანდეს მეტეოროლოგ ნ. ლეონოვსა და გეოლოგ ე. ჩერვოვს. ფრანგების მხრიდან თამაშში ჩაებნენ მეტეოროლოგი პ. დილი და რადისტი მ. ხება. მსაჯებად საბჭოთა მხრიდან დაინიშნა ექსპედიციის გეოფიზიკური რაზმის უფროსი პ. სენკო, ხოლო ფრანგებიდან— ქირურგი ჟ. ბაზილი.

ამხანაგურმა საჭადრაკო მატჩმა უაღრესად დიდი ინტერესი გამოიწვია. სვლების გადაცემა დილით ხდებოდა, ხოლო ზოგჯერ, როდესაც მატჩის მონაწილეს უხდებოდა სამსახურებრივი მოვალეობის გამო ბანაკიდან გასვლა, თამაში მეორე დღეს გრძელდებოდა.

საინტერესოა აღნიშნოს, რომ ორივე პარტია მეფის პაიკის წინსვლით დაიწყო. ფრანგმა მოჭადრაკეებმა მას რუსული პარტიით უპასუხეს, ხოლო საბჭოთა მოჭადრაკეებმა ფრანგულით.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა ორივე პარტია მოიგეს.

მატჩის შემდეგ ე. ჩერვოვი თავის მეტოქეს მ. ხებას წერდა: „თქვენს მიერ შემოთავაზებული რუსული დებიუტის ვარიანტი იშვიათად გვხვდება უკანასკნელ ტურნირებში. მე მისი გამოყენება გავიგე, როგორც თქვენი ყურადღების ნიშანი. მიიღეთ ჩემი გულწრფელი მადლობა".

მატჩმა უდავოდ შეუწყო ხელი ანტარქტიდის ფრანგი და საბჭოთა მკვლევარების დაახლოებას, დამეგობრებას.

„შირაქო, პურის დედაო.“

შირაქის ველი შორიდან უვრცეს ხალიჩას ჰგავს, რომელიც ადამიანის მადლიან მარჯვენას სათუთად ამოუქარგავს უხვი ფერადებით — თაკარა მზის სხივებზე ქარისაგან დარწეული ზღვის ტალღებივით ლივლივებენ მზესუმზირისა და სიმინდის ყანები, სათიბები. ზაფხულში შირაქში მაინც ოქროსფერი ჭარბობს ყველა ფერს. ეს ცის დასალიერამდე გადაშლილი პურის ყანებია. ტყუილად როდი მღერის ქართველი: „შირაქო, პურის დედაო...“ პური შირაქის ველის დაულეველი სიმდიდრეა. თვალს იტაცებს, გულს ახარებს ეს ბარაქიანი ველი. მტკაველიან თავთავებს სიმძიმისაგან მორცხვი პატარძალივით დაუხრიათ თავი. განუწყვეტლივ გუგუნებენ მოტორები, სივრცეს ავსებს ხალისიანი სიმღერები. სიმწიფისაგან ჩაყვითლებულ ყანებში ლაღად დაცურავენ მინდვრის ხომალდები და მანქანები კომბაინის ბუნკერებიდან ღვარივით წამოსულ ოქროსფერ ხორბალს ეზიდებიან მთებივით აღმართულ საკოლმეურნეო კალოებზე.

ახლა შირაქში უხვი მოსავლის აღების ცხარე დღეებია. მოსავალს დაცდა არ უყვარს, დროზე აიღებ — მოიგებ, დააგვიანებ — ინანებ. იციან ეს ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა. ამიტომ ყველანი მინდვრად არიან გასულნი. აქ ათენებენ, აქ ღამებენ და თავდადებული შრომით კიდევ უფრო ზრდიან საკოლმეურნეო დოვლათს...

ზენიტზე შემდგარი მზე მძლავრად აცხუნებს, მაგრამ ზემოქედელი ჩაუქები არც ამ პაპანაქება სიცხეში ისვენებენ, ოფლი ჩამოსდით სახეებზე. ოფლით მოყვანილი დოვლათი ხომ ყველაზე ტკბილი და ალალია!.. შრომაში გართულმა ჭაბუკებმა ვერც კი შეამჩნიეს როგორ წამოადგათ თავზე ფიზკულტურისა და სპორტის წითელწყაროს რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ეგრაზ ჯანყარაშვილი.

— გამარჯობათ, ბიჭებო, — მიესალმა იგი კალოზე მომუშავეებს, მერე საკოლმეურნეო ფიზკულტურული კოლექტივის თავმჯდომარეს ო. წიკლაურს მიმართა, — ზეგ კაჭრეთის ფეხბურთელებთან გვაქვს თამაში, ხალხი გააფრთხილე.

ბიჭებმა უსიტყვოდ გადახედეს ერთმანეთს. სასიხარულო ამბავი მოიტანა კომიტეტის თავმჯდომარემ — რესპუბლიკურ პირველობაში უნდა მიიღონ მონაწილეობა კოლმეურნე ფეხბურთელებმა!.. მაგრამ ისინი ისე შეხვდნენ ამ ცნობას, თითქოს მათ არც კი ეხებოდეს — გულცივად, აუღელვებლად.

—არა, ეგრაზ, ჩვენი კოლმეურნეობის ფეხბურთელები შეჯიბრებაზე არ ჩამოვლენ, თვითონაც ხედავთ რა ციებცხელებაში ვართ. საქმე ყელამდე გვაქვს, მერეც...

— მერეც რა? — ვერ მოითმინა კომიტეტის თავმჯდომარემ. — გამაგებინეთ რაშია საქმე, რა მოხდა.

— ის მოხდა, რომ რატომ უნდა მივჩქმალოთ ჩვენი ფიზკულტურის კოლექტივის სახელი, რატომ უნდა გამოვიდეს შეჯიბრებაზე ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი რაიონის ნაკრების სახელით? ჩვენ ხომ რაიონის ჩემპიონები ვართ, რატომ არ უნდა გავხადოთ ცნობილი ფართო მაყურებლისათვის ჩვენი ფიზკულტურული კოლექტივის ეს მიღწევა? ჩვენმა ბიჭებმა დაძაბული, შეუპოვარი ბრძოლით მოიპოვეს ამის უფლება, — აღელვებით წარმოთქვა გუნდის კაპიტანმა ო. წიკლაურმა.

მართლაც ზემოქედელ სპორტისმოყვარულებს გუშინდელივით ახსოვთ ფეხბურთელთა რაიონული ჩემპიონატის დღეები. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდს ბევრი ძლიერი მეტოქე ჰყავდა ამ შეჯიბრებაზე. ზემოქედელებს ძალების განსაკუთრებული დაძაბვა დაჭირდათ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნე ფეხბურთელებთან შეხვედრაში. ეს მატჩი წყვეტდა ჩემპიონობის ბედს. უაღრესად დაძაბულ შეხვედრაში ზემოქედელმა ფეხბურთელებმა გამოავლინეს შეუპოვრობა, თავის კოლექტივის სპორტული ინტერესებისადმი ღრმა სიყვარული, გამარჯვებისადმი შეურყეველი სწრაფვა და მატჩი თავის სასარგებლოდ დაამთავრეს.

ვინ იცის რამდენ ხანს გაგრძელდებოდა დავა კომიტეტის თავმჯდომარესა და კოლმეურნე ფეხბურთელებს შორის, რომ საქმეში არ ჩარეულიყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. კობაიძე.

— არა, ბიჭებო, ასე არ ივარგებს, შეჯიბრებაზე უეჭველად უნდა წახვიდეთ, თორემ იტყვიან: შეშინდნენ და არ ჩამოვიდნენო. სირცხვილნაჭამი დარჩებით და მერე, ბევრიც რომ ეცადოთ, ვერაფერს გახდებით, კაცს სირცხვილის ლაქას ალაზანიც ვერ ჩამორეცხავს.

არა, ზემოქედელ ფიზკულტურელებს სირცხვილი არასდროს უჭამიათ და არც მომავალში ჭამენ. ამ კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივი მოწინავეა რაიონში. სამუშაოსაგან თავისუფალ დროს 150-ზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი ხალისით მეცადინეობს სპორტულ სექციებში, იმაღლებს თანრიგს. სპორტში ნაყოფიერი მეცადინეობით ზემოქედელი ახალგაზრდები იკაჟებენ ორგანიზმს, რომ უფრო მძლავრი გაქანებით, ახალგაზრდული დაუოკებელი ენერგიით შეუტიონ საკოლმეურნეო ყანებსა და ბაღ-ვენახებს, მეტი ხვავი და დოვლათი მიიღონ შირაქის ბარაქიანი, მადლიანი მიწიდან.

ზემოქედელ კოლმეურნეებს შრომაში მოპოვებულ წარმატებებზე ნაკლებ როდი ახარებთ სპორტულ შეჯიბრებებზე მოპოვებული მიღწევები... წითელწყაროს კლუბში სოფლის სპორტსმენთა რაიონული ჩემპიონატი ტარდებოდა ქართულ ჭიდაობაში. მინდვრის სამუშაოები მაშინ შეთავსებული იყო და ზემოქედელი სპორტისმოყვარულები მანქანებით გამოემართნენ რაიონული ცენტრისაკენ, რომ უშუალოდ განეცადათ და დატკბარიყვნენ შირაქელი ჩაუქების სპორტული შერკინებით.

— მიდი, არჩილ!

— მოგვერდზე წამოიღე, უშანგ!

— გაჰყვიროდნენ აზარტში შესული ზემოქედელი სპორტისმოყვარულები და ამ გამამხნევებელი შეძახილებით კიდევ უფრო აღაგზნებდნენ საჭიდაო ხალიჩაზე შერკინებულ, გაუხედნავი მოზვერებივით ბრძოლვინავ ჭაბუკებს. გაუმართლეს იმედები თანასოფლელებს ზემოქედელმა მოჭიდავეებმა ო. წიკლაურმა, ა. ვეშაგურმა, უ. ჩოხელმა, მ. ბექიშვილმა, ლ. ღუდუშაურმა. ბეჭებით აწმენდინეს საჭიდაო ხალიჩის მტვერი მეტოქეებს. გუნდმა რაიონის ჩემპიონობა მოიპოვა და გაიხარეს, უსაზღვროდ გაიხარეს ზემოქედელმა კოლმეურნეებმა. ნასიამოვნები დაბრუნდნენ სოფელში და კარგი ვახშამიც გაუმართეს თავის მოჭიდავეებს — გვასახელეთ და ალალია თქვენთვის ეს პურ-ღვინო, დედის რძესავით შეგერგოთო. არ ვიცით ნამდვილად ეს პურ-ღვინო შეერგოთ გარჯანახულ ბიჭებს, თუ უფრო მეტად თანასოფლელების მხარდაჭერა და სიყვარული!... რომ ძალა შეემატათ, ეს კი ცხადი გახდა — უფრო მსხვილ შეჯიბრებებში გამოიჩინეს თავი. — ამას წინათ მშრალი ანგარიშით დაამარცხეს სიღნაღის რაიონის მოჭიდავეთა ნაკრები გუნდი.

ბევრგან წუწუნებენ: საკოლმეურნეო ცხოვრების სპეციფიკა არ იძლევა სპორტული სექციების რეგულარული, ნაყოფიერი მუშაობის საშუალებასო. მაგრამ თუ გული გულობს, საქმეს ყოველმხრივ მოევლება. როცა მოსავლის აღების სამუშაოები მოახლოვდა, ფიზკულტურის ინსტრუქტორმა გ. ბოსტაშვილმა აქტივი შეკრიბა, რათა განეხილათ მოსავლის აღების პერიოდში კოლმეურნეობაში სპორტული მუშაობის საკითხი.

ბევრი იმსჯელეს, იკამათეს, ყველამ თავისი აზრი გამოთქვა. ბოლოს ფეხბურთელი გ. ტრაპაიძე გამოვიდა:

— მე ვფიქრობ, ყველაზე უკეთესი იქნება ვთხოვოთ კოლმეურნეობის გამგეობას, რომ ფეხბურთელები ერთ ბრიგადაში მოხვდნენ, მოჭიდავეები — მეორეში, მაშინ არ დავიქსაქსებით და სექციებიც მუშაობას არ შეწყვეტენ, ადგილებზე იმეცადინებენ.

— კარგი აზრია, — მოიწონა საკოლმეურნეო კომკავშირული ორგანიზაციის კომიტეტის მდივანმა ნ. ქაწაშვილმა.

ნათქვამია, ერთი წუთით მდინარეც ისვენებსო. ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კალოებზეც დგება დასვენების წუთები. ჰაერში ავარდება ბურთი და მოტორების ხმაურში ჩაძირულ შირაქს სიცოცხლესავით მოედება კუნთმაგარი, სახენათელი ჭაბუკებისა და ქალიშვილების მხიარული ჟრიამული. ჩვეულებრივი დინჯი მოჭადრაკეები მოშორებით მდგარ კარვებში განმარტოვდებიან, რომ ხელი არ შეუშალოთ სვლების მოფიქრებაზე...

უფრო მეტი გამოცოცხლება მაინც მემინდვრეობის მესამე ბრიგადის კალოზეა, სადაც მოჭიდავეები მუშაობენ. კოლმეურნეებს ფართო წრე შეუკრავთ ნამჯით დაფენილი სარბიელის ირგვლივ, დოლ-გარმონი გაუხურებიათ. ქართული საჭიდაოს მელოდია ვაჟკაცური შემართების ჟინით ალანთებს სპორტსმენებს. აი, მძღოლმა ვ. ღუდუშაურმა მოგვერდზე წამოიღო ჩამომტვირთველი უ. ჩოხელი, მაგრამ იგი ელვის უსწრაფესად შემოტრიალდა ჰაერში და თავიდან აიცილა დამარცხების სირცხვილი. წყვილს წყვილი ცვლის, კოლმეურნეები აღტაცებული ტაშით აჯილდოვებენ გამარჯვებულებს, მიასაფონებელი სიტყვებით ამხნევებენ დამარცხებულებს და ამ საერთო მხიარულებაში ფეხაკრეფით მიიპარება დასვენების წუთები.

ცოტა ხანიც და ზემოქედელი ფიზკულტურელები კვლავ კომბაინების, ტრაქტორების, მანქანების საჭეს უსხდიან, ახალგაზრდული ცეცხლითა და გატაცებით იღვწიან უხვი მოსავლის უდანაკარგოდ აღებისათვის.

იჭრება შირაქის ველის ატალღებული პურის ყანები, ხმაშეწყობილად გუგუნებენ მოტორები, თითქოს ისინიც ჭირნახულის სიმღერას მღერიან.

ა. ხუჭუა

წითელწყაროს რაიონი.
ზემოქედი-ზილიჩა,

ზემოქედის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კალოზე დასვენების წუთებია. კოლმეურნეებს ფართო წრე შეუკრავთ საჭიდაო სარბიელის ირგვლივ და თვალს ადევნებენ დაძაბულ სპორტულ შერკინებას. მოჭადრაკეები მოშორებით განმარტოებულან და დინჯად ფიქრობენ მორიგ სვლებს.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

„სპარტაკის“ ჩემპიონები

ბათუმში დამთავრდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირადგუნდური პირველობის გათამაშება კრივში მოზარდთა შორის.

წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს მ. სირაძემ, ლ. სეფიაშვილმა (ორივე ქუთაისი), გ. მისტაკოპულომ (სოხუმი), ი. გაიდამაკამ, ი. ეკინიანმა (ორივე ბათუმი), ი. ხარჩილავამ (სოხუმი), ი. მარქაროვმა, ა. გელაზარაშვილმა (ორივე თბილისი), ა. პოლიანმა (ახალციხე) და ვ. აშუტამ (სოხუმი).

გუნდურ ჩათვლაში ადგილები განაწილდა შემდეგნაირად: 1. აფხაზეთი, 2. აჭარა, 3. თბილისი, 4. ქუთაისი, 5. ახალციხე.

უნდა ითქვას, რომ აფხაზეთისა და აჭარის კოლექტივებმა შეჯიბრება ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრეს. გამარჯვება მიენიჭა აფხაზეთს, რადგან მას უფრო მეტი უკეთესი ადგილი ჰქონდა დაკავებული.

ს. ლოგინოვი

ენერგიულად შრომობენ

გურჯაანის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეები ენერგიის დაუზოგავად შრომობენ, რათა სასახელო მაჩვენებლებით შეხვდნენ რკინიგზელის საკავშირო დღეს. განსაკუთრებით დაწინაურდნენ ფიზკულტურელები, რომლებიც დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. მოწინავეთა რიგებში არიან ფეხბურთელები მე-11 სალიანდაგო დისტანციის ავტომძღოლი გ. შანყულაშვილი, ვაგონების ტექნიკური ვასინჯვის პუნქტის ზეინკალი გ. ურატაძე, სართქლმავლო დეპოს მემანქანე მ. ლიბრაძე, ფრენბურთელები მემანქანის თანაშემწე მ. აბრამიშვილი, მემანქანე ა. ემელიანოვი და სხვები.

თავი გამოიჩინეს აგრეთვე კვანძის სპორტსმენებმა ზ. ლიბრაძემ, ლ. ნატროშვილმა, შ. ჭურღაძემ.

თ. გოგიაშვილი



ცხიმკომბინატის სპორტული ბაზა.

ჩანახატი გ. იაშვი

მასალები ზუგდიდის მუზეუმიდან

III

საჭადრაკო კომპოზიციის ისტორიისათვის

ზუგდიდის მუზეუმში ანდრია დადიანის ხელნაწერების გაცნობა ცხადყოფს, რომ გამოჩენილი მოჭადრაკე ძალზე დაინტერესებული ყოფილა საჭადრაკო კომპოზიციით. მის რვეულებში უხვადაა მოყვანილი XIX საუკუნის ცნობილი პრობლემისტებისა და ეტიუდისტების საუცხოო ქმნილებანი, აგრეთვე ძველი არაბული მანსუბებიც (ამოცანები). როგორც ხელნაწერებიდან ირკვევა, ქართველი მოჭადრაკე ყურადღებით ადევნებდა თვალს საჭადრაკო პრესას და თავის რვეულებში მოწონებული ნაწარმოებები შეჰქონდა.

ერთ-ერთ რვეულში ა. დადიანს მოყვანილი აქვს პირველი რუსი ოსტატის ა. პეტროვის ნაკლებად ცნობილი ამოცანა, რომლისთვისაც ავტორს „ნაპოლეონის მოსკოვიდან დრეზდენში გაქცევა" დაურქმევია. ეს ამოცანა წინამორბედია იმ საყოველთაოთ ცნობილი ამოცანისა, რომელსაც „ნაპოლეონის მოსკოვიდან პარიზში გაქცევა" ეწოდება.

ხელნაწერებში თავმოყრილია გამოჩენილი ამერიკელი კომპოზიტორის ს. ლოიდის რამდენიმე ამოცანა, რომლებსაც ანდრიას კომენტარები აქვს დართული. რვეულებში შეტანილია აგრეთვე გორგიევის ეტიუდები, გამოჩენილი რუსი ოსტატისა და თეორეტიკოსის კარლ იანიშისა და მსოფლიო ჩემპიონ ემანუელ ლასკერის ნაწარმოებები. ამათ გარდა დადიანს ამოწერილი აქვს ნაკლებად ცნობილი კომპოზიტორების ამოცანებიც. ერთ-ერთ ამოცანაში, რომელიც ვინმე პრუსს ეკუთვნის, დადიანს მოწონებია ლაზიერის ეფექტური შეწირვა და ეტლის წყნარი სვლით შამათით დამუქრება. შენიშვნებში ქართველი მოჭადრაკე წერს, რომ იგი აღფრთოვანებულია ამ ამოცანით.

ბუნებრივია, რომ კომპოზიციის მოყვარული ა. დადიანი ერთხელ მაინც შეეცდებოდა ამოცანა ან ეტიუდი შეედგინა. ხელნაწერებში კიდეც წავაწყდით დადიანის მიერ შედგენილ საკომპოზიციო ნაწარმოებს, რომელიც ავტორს საბერძნეთის დედოფალ ოლღასათვის მიუძღვნია.



თეთრები იწყებენ და იგებენ

ამოხსნა: 1. ლ:f8+ 2. ეa4! და 3. ეa8×

ეს ნაწარმოები ჩვენ ადრეც გვინახავს ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალ „ჩეს მონსლში" (1892 წლის ივნის-ივლისის ნომერში) და იმავე წლის რუსულ საჭადრაკო ჟურნალ „შახმატნი ლისტოკში". ინგლისურ ჟურნალში ამ ნაწარმოებს ამოცანა ეწოდებოდა, ხოლო რუსული ჟურნალი იტყობინებოდა, რომ ა. დადიანის სიტყვით ამ ნაწარმოებს ეტიუდი ერქმევა. რვეულებში ა. დადიანს ეს ნაწარმოები ორჯერ აქვს მოყვანილი და ერთ-ერთი მათგანი (ფანქრით ჩასწორებული) ეტიუდის სახელწოდებითაა.

ეს ეტიუდი, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებს საჭადრაკო კომპოზიციის თანამედროვე მოთხოვნებს. ეტიუდში მრავალი ზედმეტი ფიგურაა, რომლებიც მხოლოდ ფონის შესაქმნელად არის დაფაზე, ღარიბია თამაშით, — მხოლოდ სამი სვლით ამოიწურება. ამიტომ არც იქნება გასაკვირი, რომ ჭადრაკის კომპოზიციის თანამედროვე მოყვარულებზე ეტიუდმა კარგი შთაბეჭდილება ვერ მოახდინოს.

ეს ნაწარმოები უფრო მოგვაგონებს პარტიის ეფექტურ დაბოლოებას. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ გასულ საუკუნეში, 1895 წლამდე, საკომპოზიციო ასპარეზზე გენიალური რუსი ეტიუდისტის ა. ტროიცკის გამოჩენამდე არ იყო ჩამოყალიბებული მხატვრული ეტიუდის ხელოვნების ერთიანი პრინციპები. ამიტომ საკომპოზიციო ნაწარმოებების სფეროში შედიოდა ხელოვნურად შედგენილი პარტიების ლამაზ დაბოლოებათა მაგალითები. ასეთ მიმდინარეობას რუსეთში ხელს უწყობდა ოსტატი ალაპინი, რომელიც სასწავლო მიზნით თვითონ ადგენდა კომბინაციის შემცველ დაბოლოებებს. ეს გარემოება გვიხსნის, თუ რატომაა ა. დადიანის ეტიუდში ზედმეტი, ფონის შემქმნელი ფიგურები.

დღემდე ჩვენ ვიცოდით, რომ საჭადრაკო კომპოზიციის ქართველი ავტორების ნაწარმოებები მხოლოდ XX საუკუნის 20-იან წლებში გამოჩნდა. ამის შემდეგ 30 წლის მანძილზე საბჭოთა საქართველოში ჩამოყალიბდა საჭადრაკო კომპოზიტორების შესანიშნავი პლეადა. ჩვენი რესპუბლიკის კომპოზიტორებს ი. დობორჯგინიძეს, გ. ნადარეიშვილს, ი. კრიხელს, ა. ფირცხალავას, მ. იმნაძეს, ი. შოსტს, ვ. კალანდაძეს, რ. თავარიანსა და სხვებს იცნობს საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობა. მათი ნაწარმოებები ხშირად იბეჭდება როგორც საბჭოთა, ისე უცხოეთის პრესაში.

ა. დადიანის ეტიუდის არსებობას, მიუხედავად მისი ნაკლოვანებებისა, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული კომპოზიციის ისტორიისათვის.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი.

პიონერები ლაშქრობაზე

ფოტოეტიუდი გ. ქიმერიძისა.

კინონარკვევი დიდ შეჯიბრებაზე

ის, ვინც ესწრებოდა საქართველოს სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში, ადვილად შეამჩნევდა კინოოპერატორებს აპარატებით ხელში, რომლებიც დაუღალავად საქმიანობდნენ, ეძებდნენ შეჯიბრების ყველაზე მწვავე და დაძაბულ მომენტებს, ცდილობდნენ მხედველობიდან არ გამორჩენოდათ ყველაფერი საინტერესო, რაც ხდებოდა მძლეოსნურ თუ წყლის ბილიკებზე, კალათბურთის ფართან, ტანვარჯიშულ იარაღებზე, საჭიდაო ხალიჩაზე თუ რინგზე...

თბილისის კინოსტუდიის „ქართულმა ფილმმა" ახლახან ეკრანზე გამოუშვა კინონარკვევი „საქართველოს სპარტაკიადა" (სცენარის ავტორი-რეჟისორი შ. ხომერიკი, ოპერატორები ლ. არზუმანოვი, შ. შიოშვილი, ა. ოჯიბეგიშვილი, ა. სემიონოვი, ო. დეკანოსიძე, ა. პოლოსოვი, ზ. მაჩაიძე). კინონარკვევის შემქმნელმა კოლექტივმა ნაყოფიერი, შემოქმედებითი შრომა გასწია, რათა მაყურებლისათვის უშუალოდ და სრულად გადაეცა ის შესანიშნავი ასპარეზობა, რომელიც იმ დღეებში იყო გაჩაღებული ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქში.

მართალია, ფილმში არაა ნაჩვენები სპორტის ყველა სახეობა, რომელიც სპარტაკიადაში შედიოდა, ტექნიკურად არც შეიძლებოდა ორ ნაწილში ჩატეულიყო ყველაფერი, მაგრამ ეკრანზე წარმოდგენილია შეჯიბრებები სპორტის წამყვან სახეობებში, ნაჩვენებია სპორტული თვალსაზრისით საინტერესო, მიმზიდველი ეპიზოდები, კარგადაა გადმოცემული ტემპი, დინამიკა, მოძრაობა.

ფილმი იწყება სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ესტაფეტის ჩვენებით თბილისის ქუჩებში. შემდგომი კადრები მაყურებელს მოუთხრობს სპარტაკიადის გახსნის საზეიმო ცერემონიალის, რესპუბლიკის საუკეთესო სპორტსმენთა და მოსწავლე ფიზკულტურელთა საჩვენებელი გამოსვლების შესახებ „დინამოს" სტადიონზე.

კინონარკვევი მაყურებელთა ფართო მასებს აცნობს საქართველოს უძლიერეს ოსტატებს, მათს მიღწევებს, გარდა ამისა, მაყურებელი ეკრანზე ხედავს ახალგაზრდა სპორტსმენებსაც, რომლებსაც წინ აქვთ საინტერესო და შინაარსიანი სპორტული გზა.

რეჟისორის მიერ კარგადაა ჩაფიქრებული ნარკვევის ფინალი: საზეიმო მარშით, ნაირფერადი დროშების ფრიალით მიდიან ჩვენი საუკეთესო სპორტსმენები, რომლებსაც დიქტორის მხნე, ხალისიანი ხმა (მსახიობი ე. მანჯგალაძე) უსურვებს ახალ წარმატებებს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე მოსკოვში.

კინონარკვევი „საქართველოს სპარტაკიადა" ფიზკულტურისა და სპორტის კარგი აგიტაციაა.

გ. შეყრილაძე

მოსწავლეთა სპარტაკიადა

ველოსიპედისტთა შეჯიბრება ჩატარდა სოფელ ნატახტარის გზატკეცილზე. პირველად სტარტი აიღეს გუნდური შეჯიბრების მონაწილეებმა. მონაწილე 7 გუნდიდან ჩათვლაში შევიდა მხოლოდ ორი — თბილისის გოგონათა ნაკრები და სოხუმელ ჭაბუკთა გუნდი.

შედარებით ნაყოფიერი გამოდგა პირადი პირველობა. შეჯიბრების მონაწილე 35 სპორტსმენიდან 26-მა შეასრულა II და III თანრიგის ნორმატივი. პირველად ასპარეზობაში ჩაებნენ 20 კილომეტრზე რბოლის მონაწილე გოგონები. დისტანცია პირველად დაამთავრა თბილისელმა ს. სავჩენკომ, რომელმაც აჩვენა შედეგი 37 წუთი და 26 წამი, რაც II თანრიგის ნორმატივს აღემატება. მეორე ადგილზე გამოვიდა მისი თანაგუნდელი ლ. მაილოვა — 37.57,0.

ვაჟთა შეჯიბრება ჩატარდა 50 კილომეტრიან დისტანციაზე. პირველ ადგილზე გამოსულმა ფ. მაჩკალიდიმ ეს მანძილი დაფარა 1:23.29,5-ში. ბათუმელი ვ. კუტუბიძე მეორე იყო ფინიშთან — 1:26.00,1. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდა სოხუმელ ზ. მინდილიას.

* * *

ფრენბურთელთა შეხვედრები სოხუმში ჩატარდა.

პირველ დღეს გაიმართა ჭაბუკთა 4 შეხვედრა. ქუთაისელმა ფრენბურთელებმა 5-დან სამ პარტიაში დაამარცხეს გორელი სპორტსმენები. თბილისის I და აჭარის გუნდებმა ერთნაირი ანგარიშით — 3:0 მოუგეს რუსთავისა და სამხრეთ ოსეთის სპორტსმენებს. აფხაზეთისა და თბილისის II გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს პირველებმა ანგარიშით 3:1.

ამ დღეს ქუთაისელმა გოგონებმა სამივე პარტიაში ძლიეს ბორჯომელ ფრენბურთელებს, ხოლო აჭარლებმა — თბილისის II გუნდს.

მეორე, მესამე და მეოთხე ტურში თბილისის მოსწავლეთა I გუნდმა ერთნაირი ანგარიშით 3:0 დაამარცხა ქუთაისის, გორისა და აჭარის ფრენბურთელები და I ადგილი მოიპოვა.

გოგონათა შეჯიბრებაში უძლიერესი კვლავ თბილისის I გუნდი აღმოჩნდა, რომელმაც ყველა შეხვედრა მოიგო.

• • •

11-დღიანი სპორტულად საინტერესო ბრძოლების შემდეგ დამთავრდა მოსწავლეთა VIII რესპუბლიკური სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში შედიოდა სპორტის შვიდი სახეობა. I ჯგუფში უძლიერესი აღმოჩნდა ქ. თბილისის ნაკრები კოლექტივი, რომელმაც მხოლოდ 15 საჯარიმო ქულა მიიღო.

II ჯგუფში უძლიერესები აღმოჩნდნენ გორის, ხაშურისა და რუსთავის წარმომადგენლები.

ო. ივდოშვილი,
უ. ჭიჭინაძე

საკუთარი ძალებით

დედაქალაქის მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვს ცხიმკომბინატის ძირეული კოლექტივიც შეემატა. საკუთარი სპორტული ბაზების უქონლობის მიუხედავად ცენტრალურ სექციებში ნაყოფიერი წვრთნით შეძლეს ძლიერი სპორტსმენების გამოვლინება, ნაკრები გუნდების შექმნა და რაიონულ და საქალაქო ღონისძიებებში მნიშვნელოვანი წარმატებების მოპოვება.

წარმატებები იმდენად დიდი იყო, რომ ცხიმკომბინატის ფიზკულტურული კოლექტივი დაშვებულ იქნა თბილისის საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის მეორე ჯგუფში. შეჯიბრებებში ახალბედებმა უკან ჩამოიტოვეს მანამდე ცნობილი გუნდები და მტკიცედ დამკვიდრდნენ პირველ ადგილზე. ისინი უკვე მესამე წელია ზედიზედ ინარჩუნებენ უძლიერესის სახელს. ძირეული საბჭო ყოველთვის გამარჯვებული გამოდის ნიშნოსნების და თანრიგოსნების მომზადებისათვის ბრძოლაში.

— მოპოვებული წარმატებები ხელიდან გამოგვეცლება, თუ სათანადო ღონისძიება არ გავატარეთ. აუცილებელია საკუთარი ბაზის მშენებლობა წამოვიწყოთ ჩვენი ძალებით. ხანში შესულები არ უნდა ჩამოვრჩეთ ახალგაზრდებს. — უთხრა კომბინატის დირექტორმა კ. მისწრაფიშვილმა პარტორგანიზაციის მდივანს ო. ლორთქიფანიძეს, როცა XVII საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის შედეგებს ეცნობოდნენ.



მალე კომბინატის ეზოში შეარჩიეს ადგილი ბაზებისათვის და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე გადაწყდა საკუთარი ძალებით აეგოთ ფრენბურთის, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, ტანვარჯიშული ბაქანი, მძლეოსნობის სექტორები. პროექტის შედგენა კომბინატის ინჟინერთა ჯგუფმა ივალდებულა.

ითქვა და გაკეთდა. თითქმის ერთი წლის განმავლობაში იმ ადგილზე, რომელიც წინათ ნარჩენების თავშესაფარს წარმოადგენდა, ყოველდღიურად მუშაობდნენ ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. კომბინატის 450 თანამშრომლიდან იშვიათად თუ შეხვდებით იმას, რომელსაც თავისი წვლილი არ შეეტანოს ამ საქმის დროულად დამთავრებაში, კომბინატის ფიზკულტურელთა დასახმარებლად მოვიდნენ 88-ე სკოლის მოსწავლეებიც.

კომბინატის სპორტული ბაზების გახსნა ამ დღეებში მოეწყო. ჩატარდა პირველი ამხანაგური შეხვედრები, ბაზების მშენებელი ენთუზიასტების დაჯილდოება.

— კომბინატის ფიზკულტურელებმა გადავწყვიტეთ ფეხბურთის სავარჯიშო მოედნისა და აუზის მშენებლობაც დავიწყოთ, — გვითხრა კომბინატის დირექტორმა ქ. მისწრაფიშვილმა.

დარწმუნებული ვართ ამასაც გააკეთებს თბილისის ცხიმკომბინატის ძლიერი, მეგობრული კოლექტივი.

ო. ველაშვილი

ახალი წიგნი

საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობამ ქართულ ენაზე გამოსცა ნ. ა. შიშკარიოვას წიგნი „მხატვრული ტანვარჯიში", რომელიც მიზნად ისახავს მხატვრული ტანვარჯიშის შინაარსისა და მეთოდიკის გადმოცემას საშუალო სკოლების პირობებში. წიგნი შედგება ხუთი თავისა და ორი ქვეთავისაგან. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: მხატვრული ტანვარჯიშის მნიშვნელობა სკოლაში, მხატვრული ტანვარჯიშის სექციების მუშაობის ამოცანები, ორგანიზაცია და ფორმები, სექციის მუშაობის დაგეგმვა და აღრიცხვა, მხატვრული ტანვარჯიშის მეთოდიკის თავისებურებანი და სხვა.

წიგნში მოთავსებულია 68 სურათი და 12 სქემა. რედაქტორია სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. ბაბილოძე. წიგნი ჩასმულია ფერად ყდაში და ღირს 1 მ. 85 კაპ.

კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის საცურაო აუზში მოეწყო საქართველოს მოზარდთა შეჯიბრება წყალში ხტომაში.

ტრამპლინიდან ხტომაში ვაჟთა შორის კონკურენციის გარეშე იყო თბილისელი ბ. პოლულიახი. მეორე ადგილი დაიკავა მისმა თანაგუნდელმა ო. აბდალაძემ. წარმატება ხვდა წილად მეშვიდეკლასელ ვ. ევდოკიმოვს, მან შეჯიბრებაში დაიკავა მესამე ადგილი და მოზრდილთა მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა.

გოგონათა შორის ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა 13 წლის სოხუმელმა მოსწავლემ დ. კინწურაშვილმა.

• • •

სურათზე: ვ. ევდოკიმოვი ხტომის მომენტში.

ფოტო და ტექსტი
ვ. ინწკირველისა.

ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 15 ივლისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი"	14	9	3	2	47:18	21
„ტორპ."	15	8	3	4	30:30	19
„დინამო" კ.	15	6	6	3	22:17	18
„ტორპედო"	13	6	5	2	25:17	17
„დინამო" მ.	14	5	6	3	22:19	16
„ზენიტი"	15	2	10	3	16:24	14
„ლოკომოტივი"	16	3	7	6	20:20	13
ცდსა	13	4	4	5	20:20	12
„დინამო" თბ.	14	4	4	6	22:23	12
„შახტიორი"	15	2	7	6	15:23	11
„შრომ. რეზერვ".	15	2	6	7	17:28	10
ოფ. სახლი ხვ.	13	3	3	7	18:30	9

• • •

მოსკოვი. 13 ივლისი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული მატჩი მოსკოვის „ლოკომოტივსა" და ლენინგრადის „ზენიტს" შორის.

ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა „ზენიტმა".

• • •

ლენინგრადი. 14 ივლისი. „შრომითი რეზერვების" ადგილობრივმა გუნდმა მიიღო კიევის „დინამო".

მატჩი მოიგო „დინამომ" — 5:1.

ჩოგო-რი

◆

ო. გიგინეიშვილი

◆

ცის ლაჟვარდში ნაუცბათევად გაჩენილი ღრუბლის ქულა ჩვენს თავზე შეტრიალდა და შემდეგ ჰინდიყუშის მწვერვალებისაკენ გაუჩინარდა, ქარმა დაუბერა, ლავვარდნების თავზე კორიანტელი დააყენა, ნაბიჯი დაგვიმძიმა. დაღლილობამ იმატა, სუნთქვა გაძნელდა. თხემთან, თოვლიდან ამოზიდულ კლდოვან ქიმთან შევჩერდით და სული მოვითქვით. ჩვენს წინ უძირო უფსკრული ეშვებოდა და ძნელი იყო იმის გარჩევა თუ რა იყო ქვევით. იქიდან ღამე მოცოცავდა. ხეობის ძირზე ალბათ კვლავინდებურად ხმაურობდა ვაჰანდარია და აქლემების ქარავნები მიჰყვებოდნენ თავის საუკუნო გზებს. დასავლეთისაკენ გადახრილ მზის სხივებში გარკვევით მხოლოდ მწვერვალები ჩანდნენ. ჰინდიყუშის ქედი მწვერვალების უსასრულო ჯაჭვად იყო გაჭიმული და მიღმა მწვერვალების შემდეგი რიგი უსასრულობაში იკარგებოდა. მათ შორის ჰაერკვამლში თითქოს ვარჩევდით ეგვიპტური პირამიდის მსგავს ერთ ლანდს. ეს იყო ჩოგო-რი. ჩომოლუნგმას შემდეგ სიმაღლით მეორე მწვერვალი მსოფლიოში. მაგრამ ის კი არ ვიცოდით, რომ სწორედ იმ დღეებში, 1954 წლის ივლისის მიწურულში, ადამიანმა პირველად შედგა ფეხი მის მწვერვალს.

• • •

იქ, სადაც ვაკდება ყარაყორუმის ქედის ფერდები და ყინვარებით ნაკვები მდინარეები ველებზე შიშმინდებიან, გამვლელი უნებლიედ მიაპყრობს თვალს ჩრდილოეთისაკენ. იქ უნაპირო ველებს თეთრ კედლად ასდევნებია თოვლიანი მწვერვალების ჯაჭვი და მათ შორის ძნელი არ არის გამოარჩიოთ უმაღლესი — 8610 მეტრის სიმაღლის პირამიდული მწვერვალი ჩოგო-რი ანუ „კ-2", როგორც ის ხშირად არის აღნიშნული ინდოეთის ტოპოგრაფიულ რუკებზე.

ისევე, როგორც ჩომოლუნგმა, ჩოგო-რიც ადრევე გახდა მთამსვლელთა ყურადღების საგანი. უკვე მე-19 საუკუნის დასასრულს ჩომოლუნგმასთან ერთად ცადეს ჩოგო-რის მწვერვალზედაც ასვლა და ბრძოლა ჩოგო-რისათვის აღმოჩნდა ისეთივე მძიმე და ხანგრძლივი, როგორც ჩომოლუნგმასათვის, თუმცა შეიძლება არა იმდენად ტრაგიკული. მთამსვლელთა შორის არსებობდა მხოლოდ ერთი აზრი, კერძოდ ის, რომ ჩომოლუნგმა ასასვლელად შეიცავდა ბევრად ნაკლებ სიძნელეებს ვიდრე ჩოგო-რის ეგვიპტური პირამიდის მსგავსი მწვერვალი.

ძნელი იყო მის ფუძემდე მისვლაც კი. ბალტოროს ყინვარის მიდამოებიდან, რომელსაც დაცქერის ჩოგო-რი, ადამიანს ადვილად შეეძლო შეემჩნია, რომ მწვერვალისაკენ მიემართებიან მეტად ციცაბო კლდოვანი თხემები მრავალრიცხოვანი „გუშაგებით". ეს კი ნიშნავდა დაუსრულებელ, მეტად მომქანცავ ცოცვას რთულ კლდოვან უბნებზე. ასეთი რამ კი დიდ სიმაღლეებზე იმ დროისათვის ადამიანს ჯერ არც კი ეცადა. ეჭვიც კი დაიბადა შესაძლებელი იყო თუ არა საერთოდ ადამიანისათვის თხემის სიძნელეების დაძლევა. მაგრამ ბალტოროს ყინვარიდან ჩოგო-რის თხემები მეტად შორს იყო და ძლიერ დურბინდშიაც არ ჩანდა კარგად თუ რა ხდებოდა იქ. პირველი, ვინც მოიტანა შედარებითი ზუსტი ამბავი ჩოგო-რის შესახებ, იყო ინგლისელი მთამსვლელი კონვეი. ის 1892 წელს ავიდა ჰისპარის მწვერვალზე, რომელიც ჩოგო-რის გვერდით მდებარეობს და იქიდან შეეცადა დაედგინა ასვლის სავარაუდო გეზი. მან დაინახა იგივე ქედი, რომელიც ბალტოროს მიდამოებიდან ჩანდა, მხოლოდ გუშაგები აქედან უფრო პირქუში და მიუკარებელნი ჩანდნენ. კონვეი აღფრთოვანებული არ დაბრუნებულა, თუმცა მას მიეცა რწმენა, რომ ჩოგო-რის ადამიანი საბოლოოდ მაინც დაიპყრობდა, მაგრამ ჰისპარის მწვერვალიდან მან ჩამოიტანა იმის რწმენაც, რომ ეს არ იყო მისი თაობის ადამიანისათვის განკუთვნილი ამოცანა, ამოცანის გადაწყვეტა ანდერძად უნდა დარჩენოდა მომავალ თაობას.

17-მა წელმა განვლო ჰისპარის მწვერვალზე კონვეის ასვლის შემდეგ, ვიდრე მთამსვლელებმა შეძლეს ჩოგო-რიზე პირველი მნიშვნელოვანი იერიშის განხორციელება. ესენი იყვნენ ჰერცოგი აბრუცელი და გამყოლი ცურბრიგენი ალპებიდან. მათ ასასვლელ გზად ჩოგო-რის ჩრდილო-აღმოსავლეთ თხემები აირჩიეს. მაგრამ უკვე პირველივე მეტრებმა ისინი დაარწმუნა, რომ გზა აღემატებოდა მათ ფიზიკურ ძალებს. 5053 მეტრის სიმაღლეზე ისინი ციცაბო კლდეების პირისპირ აღმოჩნდნენ. 15 დღე ებრძოლეს მათ თხემის გუშაგებს და პიტალოებს და შვეული ხაზით გაიარეს მხოლოდ 500 მეტრი. 5561 მეტრის სიმაღლეზე ჰერცოგ აბრუცელს ძალა გამოელია. ცურბრიგენმა მარტომ ცადა ბედი. მან კიდევ გაიარა 700 მეტრი და შეჩერდა. მწვერვალი აქედან ისევე შორს ჩანდა, როგორც ქვევით ყინვარიდან, სამაგიეროდ კუნთებში აღარ იყო ძალა. ასეთ სიმაღლეზე ცურბრიგენს აღარც სუნთქვა შეეძლო.

კვლავ გავიდა წლები. კაცობრიობაზე გადაიარა პირველი მსოფლიო ომის ქარტეხილმა და მხოლოდ 1922 წელს კვლავ შედგეს მთამსვლელებმა ფეხი ჩოგო-რის მოყინულ ფერდობებზე. ესენი იყვნენ ეკენშტეინისა და პფანის ექსპედიციის წევრები. მათ ახსოვდათ, რომ აბრუცელი და ცურბრიგენი უკუიქცნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ თხემიდან და ამიტომ ნაკლებად რთული გზის ძებნაში სამხრეთ-აღმოსავლეთ თხემს მიადგნენ. მაგრამ თხემის დასაწყისშივე, 5100 მეტრის სიმაღლეზე, დარწმუნდნენ, რომ ამ თხემით სიარული შეუძლებელი იყო, ამიტომ მათ კვლავ განიმეორეს აბრუცელის გზა. აქ პფანმა და ექსპედიციის წევრმა ვესელიმ მიაღწიეს 6700 მეტრს და უკანვე გამობრუნდნენ.

ამრიგად, ჩოგო-რი მიუღწეველი რჩებოდა, მისმა პოპულარობამ იმატა. შემდეგ წლებში განუწყვეტლივ მოდიან ჩოგო-რისაკენ მთამსვლელთა ექსპედიციები — ინგლისელები, იტალიელები, ამერიკელები, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა ვერ მიაღწია 8000 მეტრის სიმაღლესაც კი. მათ შორის ყველაზე დიდ სიმაღლეს მიაღწიეს 1939 წლის ამერიკული ექსპედიციის წევრებმა პეტცოლდმა და ჰიუსტონმა 6 მზიდავთან ერთად შერპების ტომიდან. ისინი შეჩერდნენ 7900 მეტრის სიმაღლეზე და ჩამოიტანეს მეტად ორიგინალური დასკვნა. მათი აზრით, თუ ვინმე შეძლებს ჩოგო-რიზე ასვლას, იგი მწვერვალზე დარჩება ტყვედ — მწვერვალიდან ჩამოსვლა შეუძლებელია. ეს მართლაც ამერიკული ტიპის სენსაცია იყო. წარმოიდგინეთ მთამსვლელი, რომელიც მწვერვალზე ასულა და ველარ ჩამოდის. ჩოგო-რის მწვერვალით დაინტერესდნენ სენსაციის მოყვარულები. 1939 წელს ამერიკელებმა კვლავ მოაწყეს ექსპედიცია ჩოგო-რიზე. ექსპედიციის წევრები გამსჭვალულნი იყვნენ მხოლოდ ერთი იდეით—რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, ასულიყვნენ მწვერვალზე, ვინაიდან ეს ნიშნავდა დიდებას, დიდება კი—დოლარებს. ისინი 15 იყვნენ — 6 ამერიკელი მთამსვლელი და 9 შერპი მზიდავი. ჯგუფი წავიდა 1938 წლის ექსპედიციის გზით. მწვერვალისაკენ მიდიოდნენ პრინციპით — ვინ ვის გადაასწრებდა. 4 ამერიკელი თხემის პირველსავე მონაკვეთზე შეჩერდა. მეხუთე მთამსვლელი ვოლფი ავად გახდა თითქმის 8000 მეტრის სიმაღლეზე მე-8 ბანაკში. შემდგომი მოძრაობის ძალა შერჩა მხოლოდ ერთს—ვისნერს. საჭირო იყო ავადმყოფი ამხანაგის სასწრაფოდ ძირს დაშვება, მაგრამ ვისნერმა ვოლფი მიატოვა და შერპ პაზანგ-ლამასთან ერთად განაგრძო გზა მწვერვალისაკენ. მათ მიაღწიეს 8250 მეტრის სიმაღლეს და აქ გამოელიათ პროდუქტები. მაშინ ვისნერი დაეშვა მე-8 ბანაკში, აიღო აქ ყველაფერი, რაც კი იყო ისე რომ ავადმყოფი ამხანაგისათვის ნამცეციც კი არ დაუტოვებია, და კვლავ მიიტანა იერიში მწვერვალზე.

ვისნერმა ვერც ახლა შეძლო მე-8 ბანაკიდან შორს წასვლა, მას კვლავ გაუთავდა პროდუქტები და უკან დაბრუნდა. მაგრამ მე-8 ბანაკში აღარ იყო პროდუქტები, იწვა მხოლოდ ავადმყოფი ვოლფი, რომელსაც უკვე 5 დღე არაფერი ეჭამა. ვისნერმა და ზაპანგ-ლამამ ვოლფი ჩაიყვანეს მე-7 ბანაკში. აქ უკვე აღარავინ იყო, არ იყო არც პროდუქტები. ცარიელი იყო შემდეგი ბანაკებიც. მაშინ ვისნერმა თავს უშველა, მიატოვა ავადმყოფი ამხანაგი და სწრაფად დაეშვა ძირითად ბანაკში, სადაც იმყოფებოდნენ დანარჩენი ამერიკელები. ამხანაგის დახმარებას კი, რომელიც ზევით მშიერი და ავადმყოფი მარტო ებრძოდა სიკვდილს, არავინ ფიქრობდა. მაშინ შერპებმა თვით სცადეს ავადმყოფ ვოლფის დახმარება. როდესაც ისინი ავიდნენ მე-7 ბანაკში, ვოლფი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მაგრამ იმდენად დასუსტებული, რომ მოძრაობა აღარ შეეძლო. მეორე დღეს შერპები დაეშვნენ მე-6 ბანაკში, რათა წაეღოთ საძილე ტომრები, რომ საშუალება ჰქონოდათ დარჩენილიყვნენ ვოლფთან მანამდე, ვიდრე ის მოღონიერდებოდა. ამასობაში დაიწყო ქარბუქი, კლდეები დაითოვლა, წინსვლა სახიფათო შეიქმნა, ზევით კი იწვა ავადმყოფი ადამიანი, რომლის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხი დამოკიდებული იყო იმაზე — ავიდოდნენ მასთან შერპები დროზე თუ არა. შერპები შეყოყმანდნენ, მეტად მაცდური იყო ასეთ ამინდში კლდეები, მაგრამ შერპებს შორის იყო ფაზანგ-კიტარი—ჰიმალაების მკვიდრი, ინდოეთის ერთ-ერთი საუკეთესო მთამსვლელთაგანი, მან არ იცოდა არც შიში და არც უკან დახევა. ფაზანგ-კიტარი უყოყმანოდ შეჰყვა დათოვლილ კლდეებს, მას მიჰყვა კიდევ ორი შერპი ფაზანგ-კიკული და პინზუ-შერპა. მე-6 ბანაკში დარჩენილი თზერინგი ერთხანს კიდევ არჩევდა წინწასულთა ლანდებს, მაგრამ მალე ყველაფერი თოვლის კორიანტელმა დაფარა.

ამის შემდეგ აღარავის უნახავს არც ზევით წასული სამი შერპი და არც ვოლფი.

• • •

იტალიელი პროფესორის ადიციო დეზიოს სახელს კარგად იცნობდნენ მთამსვლელთა წრეებში. ჩოგო-რიზე მოწყობილ ექსპედიციათა შორის ორი იყო იტალიური: 1909 და 1929 წლებში. ამ უკანასკნელში, რომელსაც გრაფი სპოლეტო ხელმძღვანელობდა, მონაწილეობას იღებდა დეზიოც. რამდენადაც იტალიელებს ყველაზე მეტი ექსპედიცია აზიაში ჩოგო-რიზე ჰქონდათ მოწყობილი, ამიტომ ისინი თვლიდნენ, რომ ამ მწვერვალზე ასვლა იქცა იტალიელთა ეროვნული თავმოყვარეობის საკითხად. სპოლეტოს ექსპედიციის უშედეგოდ დამთავრების შემდგომ, იტალიაში არ შეუწყვეტიათ ოცნება ახალი ექსპედიციის შესახებ ყარაყორუმის მწვერვალებზე, დეზიო კი საექსპედიციო სახსრების ძებნაში დადიოდა ერთი დაწესებულებიდან მეორეში და ყველას უმტკიცებდა, რომ იტალიელებს შესწევთ უნარი ავიდნენ ჩოგო-რის მწვერვალზე. მრავალი წელი გავიდა სანამ დეზიომ იშოვა საჭირო თანხები და მხოლოდ 1953 წლის შემოდგომაზე გახდა შესაძლებელი ექსპედიციისათვის მზადების დაწყება. საკითხის გადაწყვეტა დააჩქარა ინგლისელების ასვლამ ჩომოლუნგმაზე. თუ ინგლისელების იყო მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი, იტალიელებს უნდა დარჩენოდათ უმაღლესი ჩომოლუნგმას შემდეგ. ამით იტალიელები გაუსწრებდნენ ფრანგებს, ამერიკელებს, შვეიცარიელებს, გერმანელებს და ბევრ სხვა თავის ძველ მეტოქეებს ალპებში.

დეზიომ დაგეგმა „მძიმე" აღნაგობის ექსპედიცია, რასაც შესატყვისება ასვლის ნელი ტემპი. ჯერ უნდა მომზადებულიყო ყველა საიერიშო ბანაკი, გაებათ თოკები ყველაზე უფრო რთულ ადგილებში, წინასწარ აეტანათ ყველა პროდუქტი და საჭურველი და მხოლოდ შემდეგ დაიწყებოდა იერიში.

აღსანიშნავია, რომ ქართველმა მთამსვლელებმა პამირის მწვერვალებზე ასვლის დროს დაამუშავეს და გამოიყენეს სრულიად საწინააღმდეგო, სწრაფი იერიშის ტაქტიკა. მაგრამ იტალიელების მიერ შერჩეულ ტაქტიკას ჰქონდა თავისი გამართლება, ვინაიდან საიერიშო ჯგუფის მონაწილეთაგან არავინ იყო ნამყოფი მაღალმთიან სისტემებში ალპებს გარდა, ე. ი. არც ერთი მათგანი არ იყო ასული 5000 მეტრის სიმაღლის მწვერვალზედაც კი. ასეთ პირობებში იტალიელები არ იყვნენ მომზადებულნი იმისათვის, რათა გამოეყენებინათ სწრაფი იერიშის ტაქტიკის უპირატესობანი „მძიმე" ტაქტიკასთან შედარებით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

სურათზე: თბილისის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც მოსწავლეთა საქართველოს სპარტაკიადაზე პირველი ადგილი დაიკავა. მარცხნიდან პირველი, მწვრთნელი გ. ბაბახანიდი.

რედაქტორი ი. უზულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 13. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებებს — 3-90-34, მორიგესა და გამომშვებს — 3-38-26.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი. ლენინის ქ. № 14.
უე 03672